ДИПА 12
ГССПУБЛ.Ч В.КА
3
572/1952/2

დილა

[illegible], ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, [illegible]
სამშობლო გაახარე[illegible]

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

№ 3 მარტი 1952

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო მირცხულავა (მამაშვილი)

ნახატი **რ. სტურუახი**

დედა

როცა მეფე ბატონობდა
და მონობის უღელს ჭედდა,—
მეფის ტახტის დასაძხობად
მოუხმობდა გმირებს დედა.

როცა ხალხი თავგანწირვით
რუსთა მეფის ტახტს ეკვეთა,—
დიდ ლენინთან მძადშეფიცულ
შვილს ლოცავდა ქართველის დედა.

როცა ხალხი მხნედ იბრძოდა
ფაშისტების გასაწევეტად,—
სამშობლოსთვის! სტალინისთვის!
მიუძღოდა შვილებს დედა.

როცა მტერი კვლავ აპზადებს
სისხლისღვრას და ხოცვა-ქლეტას,—
ხიფათი რომ აგვაშოროს
მშვიდობისთვის იბრძვის დედა.

და თუ მტერმა ბუხანათმა
ჩვენთან ომი თუ გაბედა,—
დედა წითელ დროშას გაშლის,
გაგვიძღვება წინ იმედად.
აი, რატომ გვიყვარს დედა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ვ. გ ო გ ო ლ ი

დიდი რუსი მწერალი

ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლი მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი რუსი მწერალია. მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის ხალხებმა დიდი პატივითა და სიყვარულით აღნიშნეს ასი წლისთავი გენიალური რუსი მწერლის გარდაცვალებიდან.

გოგოლის შესანიშნავი ქმნილებები: „რევიზორი", „მკვდარი სულები", „ტარას ბულბა" და სხვები თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა და მრავალ უცხო ენაზე. გოგოლის წიგნებმა მზის სინათლეზე გამოიტანეს და ამხილეს მეფის რუსეთის, — ბნელი, ჩინოვნიკური რუსეთის მანკიერებანი. გოგოლის უკვდავი ნაწერები გამთბარია დიდი რუსი ხალხისა და მშობელი ქვეყნის უანგარო სიყვარულით.

ჩვენი დიდი ბელადები ლენინი და სტალინი გოგოლს მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს მწერლად თვლიან. გოგოლის მიერ დახატული წარუშლელი სახეები დიდმა ბელადებმა არა ერთხელ გამოიყენეს თავიანთ უკვდავ ნაწერებში. გოგოლის დიდი მემკვიდრეობა გვეხმარება უკეთ გავიცნოთ წარსული, კიდევ უფრო მეტი მადლიერების გრძნობით შევხედოთ აწმყოს, და უანგაროდ გვიყვარდეს ჩვენი დიადი სამშობლო.

5413

ვერა ბუაჩიძე

ნახატები ალ. ბანძელაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ჩან დეკი და ჭრელი ბურთი

ნამდვილი ამბავი

1951 წლის ივლისი იყო. ამერიკული ბომბებისაგან მიწასთან იყო გასწორებული კორეის დედაქალაქ ფხენიანის უბნები. დანგრეული სახლის კედლები და ღუმელებიც კი აღარ ჩანდა. ქუჩები და ეზოები მტვრისა და ნანგრევების გორებად ქცეულიყო. გადარჩენილი მცხოვრებლები ქალაქგარეთ მიწის თხრილებში იყვნენ თავშეფარებულნი.

ორ დღეს განუწყვეტლივ ბომბავდა მტერი კორეის დედაქალაქს.

დღეს ოდნავ სიწყნარე ჩამოდგა. რამდენჯერმე გადაიფრინეს ქალაქის თავზე მტრის თვითმფრინავებმა, საზენიტო არტილერიამაც სროლა ატეხა, მაგრამ აფეთქების ხმა ერთხელაც არ გაუგონიათ მცხოვრებლებს.

დილით, მიწურიდან ყველაზე ადრე ფხენიანელი მუშის შვილი პატარა ლი ჩან დეკი ამოვიდა. რა გააჩერებდა მიწაში ხუთი წლის ბიჭუნას, როცა ძლივს სიწყნარე ეღირსა და მზეც ამ დილით ისე უცინოდა, თითქოს ომი არც კი ყოფილიყო ქვეყანაზე.

— ლი, შორს არ წახვიდე, — მოესმა მას დედის ხმა. ლიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. იქვე ნანგრევებზე წამოწვა, ქექვა დაუწყო. რამდენი რამეა საინტერესო ახლა ფხენიანის მიწაში. ყოველი მუჭა მიწა ლითონის ნატეხებითაა სავსე. მერე, როგორ უყვარს პატარა ლის ბრჭყვიალა ნაჭრები. მამა ქარხნიდან სულ ბრჭყვიალა ლითონის ბურბუშელას უზიდავდა. ახლა მამა არმიაშია და დედას ათასი საქმე აქვს. დღისით ქალაქის აღდგენაზე მუშაობს, ღამით საჭმელს უმზადებს ლი ჩანს და თან სახალხო არმიის მებრძოლების ტანსაცმელსაც კერავს.

ლი ჩანს სილის ქექვა მოეწყინა. წამოჯდა. მზე მაღლა აწეულიყო. ცხელოდა კიდეც. გუშინ ამ დროს ის და კიმი პატარა ღელეში ბანაობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს რატომ არ მოდის კიმი? იქნებ მიმასწრო კიდეც!—გაიფიქრა მან და ღელისაკენ გაეშურა.

ლი ჩანმა გზაზე ბურთი დაინახა და თვალს არ დაუჯერა. შორიახლოს გაჩერდა. მიიხედ-მოიხედა, ეგებ ახლოს სადმე პატრონიც იყოსო. არავინ ჩანდა. ლი ჩანმა ბურთი აიღო; ნამდვილი ბურთი აღმოჩნდა, თანაც მრავალფერად შეღებილი. ოჰ, რა ბედნიერი იყო ლი, როგორ უხაროდა; ნეტავ ახლა მამა იყოს სახლში. რამდენს ითამაშებდა მასთან, ნაჭრის ბურთით ეთამაშებოდა ხოლმე სამუშაოდან მოსვლის შემდეგ. ახლა კი ჭრელი, ნამდვილი ბურთი აქვს ხელში ლი ჩანს. ფეხს აუჩქარა. სულმოუთქმელად მივარდა კიმის მიწურს, ეგებ ჯერ არც იყო წასული. მართლაც იქვე მიწაყრილზე იჯდა კიმი. საუზმეს ელოდებოდა.

— შენია? — მივარდა ლი ჩანს კიმი.

— მაშ! შეხედე, როგორია!—სიცილით მიუგო ლი ჩანმა და ბურთი ხელში შეატრიალა. შემდეგ გაჰკრეს ფეხი, ხტოდნენ. კიმის დედამ ერთი თეფში ფაფა ძლივს შეაჭამა ბავშვებს.

საღამოს ლი ჩანი სახლისაკენ გაეშურა. დიდი ამბით მოჰქონდა ბურთი, თან გზა და გზა მხიარულად სტვენდა.

დედა უკვე მისულიყო და მიწურში ფუსფუსებდა.

— ბრინჯი რად არ გიჭამია? — გაუწყრა ყრა ის ლი ჩანს.

— მე... მე..—დაიბნა ბიჭი.

— რა მოგივიდა!—ახლა სიყვარულით მოხედა დედამ.—ეგ რა გაქვს ხელში?

— ბურთი, ბურთი ვიპოვე. მთელი დღე მე და კიმი ამით ვთამაშობდით.

დედამ ბურთი გამოართვა. მართლაც კარგი ბურთი ეპოვნა ლი ჩანს.

შემდეგ დედამ პატრუქი აანთო, სუფრაც გაამზადა. ლი ჩანმა ბურთი მუხლებზე დაიდო. კოვზის ხელში აღება და... რაღაცამ ყრუდ იფეთქა. სინათლე ჩაქრა. მიწურის კედლებიდან ხმაურით ჩამოცვივდა მიწა. გონს პირველად დედა მოვიდა. ასანთი გაჰკრა. ბავშვს მივარდა. ის იატაკზე გაშხლართული ეგდო. გულმკერდიდან სისხლი სდიოდა, მარცხენა ხელი ისე მოეკეცა, თითქოს რაღაცას იხუტებდა გულში. უთუოდ ბურთი უნდოდა ჰქონოდა თან, მაგრამ სადღა იყო ბურთი!

ჭრელი ბურთის შიგნით ასაფეთქებელი ნივთიერება იყო თურმე მოთავსებული. ისიც ისეთი ვარაუდით, რომ კარგა ხნის შემდეგ აფეთქებულიყო.

წინაღამით მოზუზუნე ამერიკულ თვითმფრინავებს ჩამოეყარა ეს ბურთები ქალაქის მიდამოებში.

ერთი საათის შემდეგ პატარა ლი გარდაიცვალა.

თინათინ კვირკაია

ჩემი ბიბლიოთეკა

ნახატი შ. ცხადაძისა

შე ბევრი მაქვს წიგნები,
საყმაწვილო, საბავშვო,
გაკვეთილს რომ მოვრჩები,
განა მხოლოდ ვთამაშობ!

თავისუფალ საათებს
წიგნის კითხვას ვანდომებ.
დედას აღარ ვაწუხებ,
მე ვკითხულობ, მარტო მე!

ჩემს საყვარელ წიგნებში
კარგი წიგნი ბევრია.
ზოგი დედამ მიყიდა,
ზოგი კიდევ ბებიამ.

ზოგიც ამხანაგებმა
დღეობაზე მაჩუქეს.
ყდაში ჩავსვი, დავნომრე.
ვუვლი, განა ვაფუჭებ!

აგერ, ყველა, ლამაზად
თაროებზე აწყვია.
არც აკლიათ ფურცლები,
არც მელანი აცხიათ.

ვისაც უნდა წიგნები,
შეუძლია არჩევა.
ჩემი ბიბლიოთეკა
ნეტავ ყველას გაჩვენათ!

ლეო ქიაჩელი

ნახატები ალ. გიგოლაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირემი

ცხენ-ჯოხზე შემჯდარი, თავით ფეხამდე ყავრის იარაღით შეჭურვილი დიტო ჯირითით შედგა მეზობელი მეგობრის ჭიშკართან. ჭიშკრის სვეტზე ანწლის მოწითალო საღებავით ეხატა იდაყვებამდე წაკაპწებული ხელები, რომელთაც ლარდაჭიმული და ისარგაყრილი შვილდი ეჭირათ. სურათს ქვეშ ხვეულად იყო ამოჭრილი: „გია".

შეაყენა ცხენი თუ არა, დიტომ დასჭექა:

— გიაა! ჰაუ!

— ჰაუ! მოვდივარ! — იყო პასუხი.

— სანდრო მანდ არის? — ძახილის ხმაზევე იკითხა დიტომ.

— ჯერ არ მოსულა! დაუსტვინე, არ დაგვაგვიანოს!

დიტომ სალოკი თითი მოკაკვა, პირში ჩაიჩარა და დასტვინა. მაშინვე გაისმა საპასუხო სტვენა მეზობელ ეზოდან.

— ჩქარა! ჩქარა! — დასძინა დიტოს სტვენას ჯერ კიდევ უჩინარმა გიამ.

— მოვდივარ! მოვდივარ! — გაეხმაურა სანდრო.

გაიღო ჭიშკარი, და თავმოკაუჭებულ ჯოხზე ამხედრებულმა გიამ თავისი ცხენი ეზოდან გამოახტუნა, დიტოს წინ ყალყზე შეაყენა და მკლავზე წამოგებული, ანწლისავე წვენით მოხატული ფარი მაღლა შემართა.

დიტომ ქამარში გარჭობილი ხმალი იძრო და გიას ფარს სიბრტყით დაჰკრა. თითქოს ფოლადი ყოფილიყოს, ისე გაიწკრიალა ხმელმა ყავარმა.

— ამოიღე შენი ხმალი! ვიკენწლაოთ სანდროს მოსვლამდე! — გამოიწვია დიტომ გია.

მეგობრების ხმლები ჩხრიალით გადაეჭდვნენ ერთმანეთს.

აქ სანდრომაც მოაჭენა თავისი ცხენ-ჯოხი.

— ჯერ ნადირობა, მერე კენწლაობა! — თქვა მან, იშიშვლა ხმალი და მეგობრების გადაჭდობილ ხმლებს აჰკრა გასაშველებლად.

— მართალია, დიდი ნადირობა მოგველის! არ უნდა დავიღალოთ! — თქვეს გიამ და დიტომ და ხმლები ისევ ქამარში გაირჭვეს.

შვილდები ზურგს უკან ჰქონდათ გადაკიდებული. ყუნწებში გაყრილი ისრებითურთ. ფრები მკლავებზე წამოეგოთ. თავს ეხურათ მუყაოს კოლოფიდან გამოჭრილი და წვრილი ტკეჩით შეკრული მუზარადები, წინა ფარფლზე ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავებით დამშვენებული.

— სად ვნადირობთ დღეს, ბიჭებო? — იკითხა სანდრომ.

— როგორ თუ სად? — გაუკვირდათ შეკითხვა გიას და დიტოს, რადგანაც წინასწარ იყვნენ შეთანხმებულები, სად და რაზე ენადირნათ.

— რასაკვირველია ქოჩორაში! დაგავიწყდა, რომ დღესაც კოდალაზე ვნადირობთ? — თქვა გიამ.

— მაშ, აკი ვთქვით, რომ კოდალას მოვუღოთ ბოლო! აზრი ხომ არ შეგიცვლია? — ჰკითხა დიტომ სანდროს.

— არა, მაგრამ... მაგრამ ის... — უცნაური გაგრძელებით წარმოთქვა სანდრომ და თავისი მეოცნებე მომწვანო თვალები შორეულ მთებს მიაპყრო. ცხადი იყო, მას გული არ უწევდა მაინცდამაინც ქოჩორასაკენ. ამან ცოტა არ იყოს გია გააჯავრა.

— ასე იცი ყოველთვის, აგვიხირდები! საცა გინდა, იქ წადი!.. ჩვენ კი პირობაზე ვდგავართ და დღესაც ქოჩორაში ვნადირობთ! — უთხრა მან სანდროს. მერე დიტოს მიუბრუნდა: — წამო, დიტო! — ამ სიტყვებით ცხენს წკნელი გაჰკრა, აჩუო დასძახა და წინ წაახტუნა.

გიას მეგობრების მეთაურად მოჰქონდა თავი და არ უყვარდა, როცა წინააღმდეგობას უწევდნენ.

— მოვდივარ! — თქვა დიტომ და გიას გაჰყვა.

სანდრო ერთხანს მარტო დარჩა. რა დარწმუნდა, რომ მეგობრები არ ხუმრობდნენ და მართლა მიდიოდნენ, უცებ გატყდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გეხუმრეთ რა! დამიცადეთ! ქოჩორა თქვენზე ნაკლებ კი არ მიყვარს, მოვდივარ! ოღონდ დამაცადეთ ცოტა!

— რა დაცდა გინდა! — მიაძახა გიამ, — გამოაჭენე შენი ცხენი და დაგვეწევი!

— იცით რა? ჩემს ცხენს ნალი ავარდა და ველარ გარბის! — შესჩივლა წინ წასულ ამხანაგებს სანდრომ და ჩაქჩაქითა და კოჭლობით ვითომ ძლივს დაიძრა ადგილიდან.

ნალის ავარდნის ამბავი მოეწონათ გიას და დიტოს. გაღიმებულებმა ერთმანეთს გადახედეს, ეს კი კარგი რამე გამოიგონაო. შეშურდათ გულში კიდევაც, მაგრამ რადგანაც იცოდნენ, რომ სანდრო მათზე უფრო დიდი მეოცნებე იყო და ამნაირი რამე ეხერხებოდა, პატივი სცეს და დაუცადეს.

— რომელ ფეხზე ავარდა მაინც შენს ცხენს ნალი? — ჰკითხა ვითომ თანაგრძნობით მოახლოვებულ მეგობარს გიამ.

— წინა მარცხენაზე! — ნაღვლიანად უპასუხა დაზარალებულმა სანდრომ.

— მარცხენა არაფერია! საქმე მარჯვენაა! — ანუგეშა დიტომ, — გადაჰკარი მათრახი, წამოვა! ნალი რა საჭიროა, სულ მოლზე გვაქვს სავალი!

— ავარდნილი ნალი ხომ არ დაგიკარგავს, სანდრო? — იკითხა გიამ.

— რამდენი ვეძიე. მაგრამ ვერ ვიპოვნე! არ ვიცი, სად დაჰკარგა ამ შეჩვენებულმა.

— ეს კი ცუდია! სად ვიშოვნოთ ახლა ნალი?

— დაიცა, დაიცა! — თქვა დიტომ, — ერთი ძველი ნალი მეგულება ქოჩორაში, სადღაც მუხაზე მიკრული! იმით დავჭედოთ!

— ძველი რას იკარგებს! არ იცი, ბიძია მაქსიმეს ცხენს რა მოუვიდა? სადღაც ნაპოვნი ნალით დაჭედა და ფეხი გაუსივდა. მერე ერთი თვე კოჭლობდა და ძლივს მოარჩინეს! არ მინდა, ჩემს ცხენს ძველი ნალით არ დავჭედავ! — ჭირვეულობდა სანდრო.

— დარჩეს უნალოდ! სულ ერთია, ცხენდაცხენ ხომ არ ვინადირებთ! — დაამშვიდა მეგობარი გიამ.

— კი, მაგრამ ცხენები რომ დაგვჭირდეს უცებ, მაშინ? — არ ცხრებოდა სანდრო.

— მაინც რატომ უნდა დაგვჭირდეს ცხენები, ვერ წარმომიდგენია! — ჩაჰკითხა გიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ? — თვალები ოდნავ მოჭუტა სანდრომ, მერე უცებ ცეცებით მიმოიხედა და მცირე სიჩუმის შემდეგ წარმოთქვა: — ირემი რომ შეგვხვდეს? ფეხდაფეხ ხომ არ გამოვუდგებით?

ირმის გაგონებაზე უმალვე შედგნენ გაკვირვებული გია და დიტო. სანდრომაც შეაყენა თავისი უნალო ცხენი. სიჩუმე ჩამოვარდა.

— ირემი! — გრძლად წარმოთქვა ბოლოს გიამ და გაოცებისაგან გაფართოებული თვალები სანდროს შეანათა.

— ირემი, კაცო! ირემი ქოჩორაში?! — არა ნაკლებ გაუფართოვდნენ თვალები დიტოს.

ირმის მოულოდნელმა ხსენებამ უნალობით დაჩაგრული სანდრო უცებ აამაღლა ამხანაგების თვალში.

— შენ ამბობ ირემიო? — ერთხელ კიდევ ჩაჰკითხა ამხანაგს გიამ გაგონილის შესამოწმებლად.

— მართლა თქვი, ირემიო? — არ სჯეროდა დიტოსაც.

— ჰო, ირემი! ნუ თუ არ გაგიგონიათ, რომ ზაქრომ ქოჩორაში ირემი მოჰკლა? — თქვა ახლა უფრო გაბედულად სანდრომ.

გიამ და დიტომ უნდობლად შეხედეს ამხანაგს.

— რომელმა ზაქრომ? — ჰკითხა გიამ.

— აი, ჩვენმა ზაქრომ, რომელიც ნადირობს!

— იმან ხომ კურდღელი მოჰკლა, სანდრო! — თქვა დიტომ.

— ჰო, კურდღელი, ასე გამიგონია! — დაადასტურა გიამ.

— არა, ირემი იყო! — ისე ბეჯითად განაცხადა სანდრომ, რომ ამხანაგები დაადუმა.

— ირემი იყო ვითომ? — მიმართა უკვე დაეჭვებულმა გიამ დიტოს.

— რა ვიცი, მე კი კურდღელი მახსოვს...

— ნამდვილად ირემი იყო, ამხანაგებო, თორემ კურდღლის მოკვლას რა დიდი ვაჟკაცობა უნდოდა! იმიტომ გაუვარდა სახელი ზაქროს! — ამბობდა სანდრო.

— მაშინ, რა გითხრათ, იცით, მეგობრებო? — აეგზნო უცებ გია, — ჩემი მშვილდი ისე შორს ისვრის ისარს, რომ ქოჩორას თავში ვი-

დგე და ბოლოში კი ირემი დავინახო, ვტყორცნი და მოვარტყამ! ჰოჰოო! მაშ ირემზე ვნადირობთ, არა? რა კარგია!

— მერე? რომ მოარტყა კიდეც, დაკოდილს ხომ დევნა უნდა! ცხენიც მაშინ დაგვჭირდება სწორედ! — შენიშნა გიას სანდრომ.

— მერე ცხენები არ ვყავს თუ! სად წაგვივა? — თქვა გიამ.

— თქვენ კი გყავთ, მაგრამ ჩემი რომ კოჭლობს! — ისევ თავისი გაჭირვება მოაგონა სანდრომ.

აქ უკვე დინჯი დიტოც კი გაჯავრდა.

— რა გააჭირა საქმე ამ შენმა ცხენმა! თუ დაჭედვა არ გინდა, ირემს მდევრებად მე და გიაც ვეყოფით!

— ჯავრი ნუ გაქვს, სანდრო, შენი ცხენიც კარგად ივლის! წამო! — შეამსუბუქა დიტოს მკაცრი სიტყვები გიამ და პირველმა გააჭენა თავისი ცხენი.

— მეც ვიცი, რომ ივლის, მაგრამ, — არ დაამთავრა თავისი სიტყვა სანდრომ და გიას ჭენებითვე მიჰყვა, კვლავ რომ არ ჩამორჩენილიყო.

— აკი ვერ გარბისო! — დასცინა დიტომ.

— ცოდვაა უნალოდ მაინც!

ქოჩორასაკენ გასწიეს.

— ირემზე ნადირობის მოლოდინმა ვაჟკაცური იერი შემატა მეგობრებს. მკერდები გამოზნიქეს, წარბები შეჭკრეს და თვალებში ცეცხლი ჩაიყენეს. წვერულვაში ღა აკლდათ, რომ შიშის ზარი დაეცათ ყველა მხეცისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც კი ენახათ, გაეგონათ თუ წიგნებში დახატულები წარმოედგინათ.

მეგობრები ქოჩორას კოლმეურნეობის პატარა ტყეს ეძახდნენ, რომელიც უახლოესი გორის ფერდზე იყო შეფენილი. ქოჩორა იმიტომ შეარქვეს, რომ როცა სოფლიდან ახედავდნენ, ადამიანის შუბლზე ჩამოშლილ, კოხტად დავარცხნილ ქოჩორს ამსგავსებდნენ, თუმცა არც გორა ჰგავდა ადამიანს და არც მისი ფერდი — შუბლს ისევე, როგორც ნამდვილ ცხენებთან არაფერი საერთო არ ჰქონდათ იმ ცხენჯოხებს, რომლებსაც ტყისაკენ მიახტუნებდნენ, ხოლო ნამდვილზე უნამდვილეს ცხენებად კი წარმოედგინათ.

ქოჩორაში რომ შევიდნენ, ჩამოქვეითდნენ.

— ცხენები თან უნდა ვიყოლიოთო, — თქვა ირმის პირველმა მხსენებელმა სანდრომ.

— მაშ, უცხენოდ რას ვივარგებთ, ხომ ირემზე ვნადირობთ! ხუმრობაა!! — დაუმოწმეს გიამ და დიტომ.

გამოიბეს უკან ქამრებზე ცხენები, მოიმარჯვეს მშვილდ-ისრები და ტყის სიღრმისაკენ გზას გაუდგნენ.

ვისლა ახსოვდა კოდალა, რომელზედაც თავდაპირველი განზრახვით უნდა ენადირნათ. ახლა ირემი გამხდარიყო მათი ოცნების საგანი.

კოხტა და ლამაზი, ფრთებმოხატული კოდალა ქოჩორას ძველი ბინადარი იყო. დიდი ხანია, რაც მეგობრები იცნობდნენ მას, ხოლო სულ რამდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც მტრად გადაეკიდნენ. მტრობის მიზეზი ის იყო, რომ კოდალა აბუჩად იგდებდა თავმომწონე მონადირეებს. არ სწამდა მათი ნადირობა და არც მათი მშვილდ-ისრის ეშინოდა. ეს ძალიან უცნაური იყო. ქოჩორას მობინადრე სხვა ჩიტები ასე როდი იქცეოდნენ. დალანდავდნენ თუ არა ტყეში შემოსულ, შეიარაღებულ მეგობრებს, მაშინვე თავს შველოდნენ, ერთი კუთხიდან მეორეში გადაფრინდებოდნენ ან დროებით სულ გაეცლებოდნენ ქოჩორას. კოდალა კი მათი ამყოლი არ იყო. ხეს მიმჯდარი არხეინად განაგრძობდა თავის კაკუნს, თუ გინდ სულ ახლოს მისულიყვნენ მეგობრები და ნიშანშიც კი ამოელოთ იგი. მხოლოდ მაშინ იკადრებდა კაკუნის შეწყვეტას და გაფრენას, როცა სამი მხრიდან გატყორცნილი ისრები მის ხეზე გაიჩხაკუნებდნენ.

„ვერ მოგართვითო“, გადმოსძახებდა მაღლიდან ვითომ დაცინვით გაწბილებულებს და გაჰქრებოდა.

გაფრენაც არ უგავდა დანარჩენ ჩიტებს კოდალას; ერთს რომ მაღლა ასრიალდებოდა, მაშინვე ფრთებს შეიკეცავდა და ქვასავით ძირს დაეშვებოდა, გეგონებოდა მიწას დაენარცხაო, მისი კვალიც იქ იკარგებოდა. მაგრამ არ გაივლიდა ხანიც, რომ იქვე ახლოს სხვა ხეს მიაჯდებოდა და კოდვას დაუწყებდა. ნამდვილად იგდებდა ჩვენს მეგობრებს ის წყეული. ნორჩ მონადირეებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ, რა დღეს, რა ხვალ ცოცხალი ან მკვდარი ხელში ჩაეგდოთ თავხედი ჩიტი. მაგრამ მიზანს ვერ სწვდნენ.

გაუგებარი იყო ერთი რამ: — მეგობრების მშვილდ-ისარს არავითარი ნაკლი არ ჰქონდა. ათასგზის შემოწმებული იყო მათი მშვილდების მოქნილობა, ხმელი შვინდის წვერმახვილი, ფრთიანი ისრების სისწორე. აბრეშუმის ათფა ძაფისაგან სანთლით ნაგრეხი ლარის გამძლეობა. დღე ისე არ გავიდოდა, რომ თავადაცარ ევარჯიშნათ სროლაში. მიუხედავად ამისა კოდალას მაინც ვერ არტყამდნენ ისარს. მართალია, ჩვენი მონადირეები ვერც ბეღურას, ვერც გულწითელას და ბოლოქანქალას ვერაფერს აკლებდნენ, მაგრამ ამას იმით ხსნიდნენ, რომ ეს ჩიტები მათი მოშიშნი იყვნენ, თვინიერები, ამიტომ უყვარდათ და ეცოდებოდათ. მათთან თამაშით კმაყოფილდებოდნენ და ისარს ვითომ განზრახ განზე ისროდნენ.

რა თქმა უნდა, სად კოდალა და სად ირემი! გასამტყუნარნი არ იყვნენ მეგობრები, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი იშვიათი ნადირის მოკვლის აზრმა, როგორც ირემია, ისე გაიტაცა ისინი, რომ ამდენი ხნის მოსისხლე მტერი კოდალა სულაც კი დაავიწყდათ. მაგრამ, ჩანს, თვითონ კოდალას არ დავიწყებია ისინი. როგორც კი შესდგეს ფეხი ტყის სილრმეში, მაშინვე გაისმა კოდალას კაკუნის ნაცნობი ხმა.

— აი, ის საძაგელი! — თქვა გიამ და შეჩერდა.

— ირემს დაგვიფრთხობს, თუ ახლავე არ მოვკალით! — დაუმატა სანდრომ.

— ახლა კი ვერ გადაგვირჩება! — წამოიძახა დიტომ.

— შენ მარჯვნიდან, სანდრო! შენ მარცხნიდან, დიტო! მე კი პირდაპირ! — დაიჭირა თადარიგი გიამ.

მომარჯვებული მშვილდ-ისრით სამი მხრიდან შემოუარეს იმ ხეს, რომელსაც კოდალა მისჯდომოდა.

კოდალა ადგილიდან არ იძროდა, კოდვას განაგრძობდა, თითქოს არც კი ამჩნევსო მოახლოებულ საფრთხეს.

გავარდა სამი მხრიდან სამი ფრთიანი და წვერმახვილი ისარი.

— ვერ მოგართვით! — თითქოს ჩამოსძახა მეგობრებს კოდალამ და აფრინდა. უმალვე თავდაყირა დაქანდა ძირს და ჯაგნარის თავზე გაუჩინარდა.

— გათავდა! — იყვირა გიამ, — ვერსად წაგვიხვალ!

— პირველი ჩემი ისარი მოხვდა! დაინახეთ? — თქვა სანდრომ.

— უწინ ჩემი მოხვდა! — შეედავა დიტო.

— რას ამბობთ? ჩემი იყო პირველი! ნუთუ ვერ დაინახეთ! — იყვირა გიამ, — მაგრამ რა დროს დავაა! წამოდით, ჯაგში ჩავარდა და გამოვიყვანოთ! ცოცხალი თუ არის ნეტავი? აბა, მარჯვედ, ბიჭებო!

გარს შემოერტყნენ იმ ჯაგნარს, რომლის თავზე კოდალა გაუჩინარდა.

— აქ არის!

— ნამდვილად აქ არის!

— მეც დავინახე, რომ აქ ჩამოვარდა!

მუხლი მოიყარეს. დაიხარნენ, ჯაგში შეიხედეს.

ჯერ ყური მოჰკრეს, რომ ძირში რაღაცამ გაიფაჩუნა. მერე თვალითაც დაინახეს, რომ ის რაღაცა ჯაგის ძირში ლრმად მიძვრებოდა.

— ხედავთ, სად შემძვრალა ჩვენი კოდალა! ფრთხილად, ამხანაგებო! — სიხარულისაგან ცას ეწია გია. გაწვა და თავი ჯაგში შეჰყო. შეძვრა. დანარჩენებიც ასევე მოიქცნენ. სამი მხრიდან შემოარტყეს იმ ადგილს ალყა.

გია თავს არ იზოგავდა, ისე მიძვრებოდა სილრმეში, მთელი ტანით მიწაზე გართხმული.

— ხედავთ? წინ, ბიჭებო, არ გაგვიძვრეს სადმე! — ყვიროდა იგი.

— მეც ვხედავ! — თქვა დიტომ, — მაგრამ თეთრი რომ არის?

— კი, თეთრია! კოდალას არ ჰგავს! რა უნდა იყოს? — ამბობდა გია.

— იქნება ფერი იცვალა და გვატყუებს! ა? ვითომ კოდალა არა ვარ და თავი დამანებეთო! — ვარაუდობდა დიტო.

— ვერა, კოდალავ! ახლა ჩვენ ვერ მოგართვით, გენაცვალე! — ბწარედ დასცინა კოდალას დიტომ, რაკი დრო უნახა. მერე უცებ წამოიძახა:

— ხელში მყავს, ამხანაგებო! ცოცხალია! მომყავს! — და ჯაგიდან სწრაფად გამოძვრა, — დედაა, ეს რა რბილი და ფაფუკია! მოდით, შეხედეთ, ხალხო! ნუთუ ეს კოდალაა! — დადგა ფეხზე თუ არა, იყვირა გიამ.

დიტო და სანდროც გამოძვრნენ ჯაგიდან, გიას მივარდნენ.

— ბაჭიაა, გია, ბაჭია! ნუ თუ ვერ იცანი? — თქვა დიტომ, როგორც კი შეხედა გიას ტყვეს. — ნამდვილი ბაჭიაა!

— ბაჭია? კი, ბაჭიას უფრო ჰგავს! მაგრამ კოდალა რომ უნდა ყოფილიყო? — უკვირდა გიას.

— რა კარგი ბაჭიაა? მომეცი, მოვეფერო! — სთხოვა დიტომ გიას.

— დაიცა, დიტო! ჯერ ერთს უნდა მიეჩვიოს, თორემ ცოდვაა! — არ დათმო გიამ.

სანდრო კი ხმას არ იღებდა, განზე გამდგარი სადღაც შორს იცქირებოდა.

— რატომ გაჩუმებულხარ, სანდრო! ხომ კარგი ბაჭიაა? — გაუზიარა მას ბოლოს დიტომ თავისი სიხარული.

— ეს ბაჭია არ არის! — თითქოს ცივი წყალი გადაასხეო, ისე უპასუხა სანდრომ.

სანდროს სიტყვების გაგონებაზე გია და დიტო ერთბაშად მისკენ მიბრუნდნენ.

— ბაჭია არ არისო? — ერთხმად თქვეს გაოგნებულებმა. მერე ფიცხმა გიამ იყვირა:

— მაშ რა არის, კაცო? შეხედე კარგად! ნუთუ ბაჭია არ გინახავს?

— ბაჭიაა ნამდვილი. სანდრო, თვალს ხომ-არ გაკლია? — ეუბნებოდა დიტო.

მაშინ სანდრომ დიდმნიშვნელოვნად გაუღიმა მეგობრებს და. წარბიც არ შეუხრია, ისე წარმოთქვა მარცვალ-მარცვალად.

— ირემია!

ამას კი არამცდაარამც არ მოელოდნენ გია და დიტო. გიას კინაღამ ბაჭია ხელიდან გაუვარდა. დიტო გაშეშებული იყო.

— რაო? — ერთხმად გაიკვირვეს ბოლოს. ჯერ ბაჭიას კარგად დაჰხედეს მცდელი თვალით, შეამოწმეს. მერე სანდროს შეაშტერდნენ.

დიტო გიაზე უფრო ადრე გამოერკვა.

— ყველაფერს კი არ დაგიჯერებთ, სანდრო, ნალის არ იყოს, — უთხრა მან სანდროს, — მაშინ ვთაჰაშობდით და იმიტომ დაგიჯერეთ ვითომ.

— ჰო, თამაშობაში შეიძლებოდა დაჯერება, რასაკვირველია, ახლა კი ნამდვილი ბაჭია მიჭირავს ხელში, აი, ნამდვილი და შენ ამბობ ირემიაო. ამას როგორ დაგიჯერებთ?

— ირემია! — გაიმეორა მაინც ჯიუტად სანდრომ.

— კარგი მაშ, შენთვის ირემი იყოს, თუ ასე გინდა თავი მოიტყუო! ჩვენთვის კი ბაჭიაა! მორჩა და გათავდა! ახლა კი წავიდეთ, თორემ ისე კანკალებს ეს საცოდავი, რომ მეშინია ხელში არ შემომაკვდეს! — თქვა გიამ.

— მოდი, უბეში ჩაისვი, თორემ ცხენზე ჯდომას დაგიშლის! — ურჩია დიტომ მეგობარს. გიამაც საცოდავი ბაჭია უბეში ჩაისვა და გარედან ხელის გული მიაფარა.

შესხდნენ ცხენ-ჯოხებზე და წამოვიდნენ.

გაიარეს თუ არა ცოტა. კოდალას კაკუნი მოესმათ.

— ჩვენი კოდალა! — წამოიძახა გაკვირვებულმა გიამ, რომელსაც კოდალა მოეწონა და ჯაგნარში დაკარგული ეგონა.

— შეჩვენებული! ცოცხალი გადარჩენილა — თქვა დიტომ.

— მოდი, დავბრუნდეთ! — შეაყენა ცხენი გიამ. — როგორ გადაგვირჩა, ა?

— დაიცა, გია! ბაჭიაც არ დავკარგოთ მის დევნაში, მოდი, სკოლაში წავიყვანოთ, ნორჩ ნატურალისტთა კუთხეში ადგილი მივუჩინოთ, დავაბინაოთ და მერე დავბრუნდეთ! სად წაგვივა კოდალა?

დიტოს რჩევამ გაჭრა. გზა განაგრძეს.

— კი, მაგრამ, სანდრო, „დედაენაში“ მაინც არ გინახავს, რომ ირემს რქები აქვს, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ! — უთხრა დამრიგებლის კილოთი გზადაგზა გიამ სანდროს.

— ჰო, მართლა! — წაეშველა მას დიტო, — აბა, ამას სადა აქვს რქები, ირემიაო რომ იძახი!

— გაეზრდება! — დაუეჭვებლად. ბეჯითად თქვა სანდრომ.

გაცხარდა გია.

— რა გითხრა, იცი? თუ გაეზარდოს და ირემი იქნეს, შენი იყოს, თუ არა, ხელი აიღე! — გადაჭრით უთხრა მან სანდროს.

— აბა, თქვი: თანახმა ხარ? თქვი, რას გაჩუმდი? — ჩააცივდა სანდროს დიტოც.

— ირემი სჯობს, თუ ბაჭია? — პასუხის მაგიერ კითხვა შეუბრუნა ამხანაგებს სანდრომ.

— ეს რა საკითხავია?.. რა თქმა უნდა, ირემი! მერე რა? — მიუგეს გიამ და დიტომ.

— მერე ის, რომ რაკი ირემი სჯობს, თქვენ წააგებთ და არა მე! თანახმა ვარ: იყოს ირემი ჩემი. ბაჭია კი თქვენი! — გამარჯვებულის რიხით უპასუხა მეგობრებს სანდრომ.

სანდროს რიხმა ჩააფიქრა გია და დიტო. მათ ახლა დაენანათ, რომ ირემი სანდროს რჩებოდა. მაგრამ რადგანაც ბაჭია ნამდვილად ხელში ჰყავდათ უკვე შეჰყვარებოდათ, კიდევაც და საზიაროდ ვერ შელეოდნენ მისი სიყვარულისათვის არჩიეს დავა აღარ განეგრძოთ, და მთლიანად დაეთმოთ სანდროსათვის მისი ირემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია სიხარულიძე

ნახატები **გ. როინიშვილისა**

ორი ლექსი

რუსთავი

— ეს მარტენის საამქროა,—
ზურა გვეუბნება,—
— ჰა, დავხატე ღუმელები,
შიგ ფოლადი დნება.
აგერ—მეფოლადეები!
მამა რომელია?!
აი, აგერ!... ის ცნობილი
ფოლადმდნობელია.
იცით, როცა ფოლადია
კარგად გამომდნარი,
მაშინ ციცხვში ჩაუშვებენ
ვეებერთელა ლარით—
და გადმოქუხს ღუმელიდან
ცხელი ნიალვარი.

მინდა მაღე გაზაფხულდეს

მინდა მაღე გაზაფხულდეს,
მაღე, ძღიერ მაღე!
ამისათვის ბევრ მზეს ვხატავ,
ცოტა დავიღალე;

მაგივრად კი ჩვენი ბალი
მაღე ამწვანდება,
ნუში, ვაშლი და ატამი
ხელად აყვავდება.

ბევრ მზეს ვხატავ,
რა კარგია.
მომიწონებს ყველა;
გათბებიან: ბებოც, პაპაც
ჩემი მურიკელაც.

გიორგი სალუქვაძე

„სამგორის მშენებლები“

მშენებლობის უბნად იქცა
ჩვენი ქუჩა, ჩვენი ეზო:
ბულდოზერით თხრიან მიწას
ნოდარი და ცელქი რეზო.

აქ არიან გოგონებიც
ნანა, მზია, ქეთო, ლია.
ჩამოშლიათ შუბლზე თმები.
„პროექტს“ დინჯად დასცქერიან:

ამ ჩანჩქერზე აიგება
ჩინებული ელსადგური,
ამ მთებში კი გვირაბები
გაიყვანოს უნდა გურიმ.

კლდეებს ანგრევს ავთანდილი,
არ იღლება, წარბსაც არ ხრის.
აქ ჩუხჩუხა წყალი ივლის,
გათხრილია უკვე არხი.

შავგრემანი ბიჭი გია
სულ ტრიალებს მლაშე ტბებთან,
ივრის წყალის უსმენს გრიალს.
აქ „თბილისის ზღვა“ იქნება.

ყველა ზღვარს და მიჯნას გასცდა
ფიქრი ზღაპრის სადარები—
და თბილისის ახალ ზღვასთან
ისვენებენ პატარები.

ანა ხახუჯაშვილი

ნახატი ვ. ტოროტაძისა

შიოს ჩანთა

დიდ დასვენებაზე მოწაფეები შემოდგომის მზით გამთბარ ეზოში გამოიშალნენ და მხიარული ჟრიამული ატეხეს. ერთგან ბურთის თამაში დაიწყეს, მეორე ადგილზე ბიჭებმა ქამრები შემოიხსნეს და ლახტის თამაში გააჩაღეს. ზოგი მწიფე მსხლითა და პურით საუზმეს შეექცეოდა. რამდენიმე მოწაფემ წიგნები გაშალა და ბოლთისცემით ხმამაღლა კითხვას მოჰყვა. სკოლის ეზოში პიონერხელმძღვანელი გივი და კლასის მორიგე თინაც გამოჩნდნენ. ისინი ვიღაცას დაეძებდნენ:

— ხომ გითხარი, აქ არსად ჩანს მეთქი,—უთხრა თინამ ამხანაგს და ლაპარაკი დაბალი ხმით განაგრძო:—მე ნამდვილად დავინახე, რომ ზარის დარეკვის შემდეგ შიო კლასიდან ყველაზე ადრე გამოვარდა და კოლმეურნეობის ზვრებისაკენ გაქანდა.

— ეგ საძაგელი, მთელ უბანს ყბადაღებული ჰყავს, ვენახებს ქურდობით იკლებსო და დახე მაგას, აქაც არ ისვენებს; მაგრამ მალე მოვაჭკვიანებთ. აგერ, გაიხედე, მგონი ის არის, ხელში გატეხილი ჩანთა უჭირავს და მორბის!

ბავშვები რომ დარწმუნდნენ, შიო მორბისო, სკოლის კარებს ჩამოეცალნენ. ეზოში დადგნენ და იქიდან თვალყურისდევნა დაუწყეს. შიომ ჩანთა კლასში სწრაფად შეარბენინა, მერხქვეშ შედო და ზემოდან წიგნები დააფარა, მერე გარეთ გამოვარდა და ბიჭებში გაინავარდა, ვითომც არაფერიაო. გივიმ და თინამ დრო რომ იხელთეს, კლასში შევიდნენ, წითლად დამკრახული მსხლებითა და ატმებით სავსე შიოს ჩანთა მერხიდან გამოიღეს და კარადაში ჩაკეტეს. გივიმ რამდენიმე პიონერთან მოილაპარაკა და გაკვეთილების შემდეგ სასწრაფო კრება დანიშნა. კრებაზე შიოსაც გამოუძახეს. სანამ პიონერები შეიკრიბებოდნენ, გივიმ შიოს ჩანთა კედელზე თვალსაჩინო ადგილას ჩამოჰკიდა და ყველა მოსწავლე გააფრთხილა, ჩანთაზე კრინტი არ დაეძრათ, ვითომ არც დაუნახავთ.

ყველაზე გვიან კრებაზე შიო შევიდა. ბიჭი ისედაც გრძნობდა, რომ მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს რაღაც უნდა მომხდარიყო და ფეხები უკან რჩებოდა. შევიდა თუ არა, იმ წამსვე თავისი ჩანთა დაინახა, სახეზე ალმურმა გადაჰკრა და ჩანთას თვალი აარიდა. პიონერხელმძღვანელმა ზოგიერთ მოსწავლეთა უზნეო საქციელზე ილაპარაკა და ასე დასძინა:

— ამხანაგებო, ახლა ბალ-ვენახებში ხილი დამწიფდა, და ჩვენში კოლმეურნეობის ნაამაგდარი დოვლათი დასაბინავებლად უკვე გამზადებულია: ჩვენს მოსწავლეთა შორის არ უნდა იყოს არც ერთი, რომელიც ამ საერთო, საზოგადოებრივ ქონებას ბოროტად მოექცევა. დღემდე იყო შემთხვევები, რომ მოსწავლე ქურდობდა და ჯიბე-უბეებით ეზიდებოდა კოლმეურნეობის ხილს. ამაზე ჩვენთან საჩივარიც შემოვიდა და ჩვენ მოვალეები ვართ ეს ბოროტება ძირფესვიანად აღმოვფხვრათ!

შიოს ფერი მთლად დაეკარგა, საცოდავად შეტოკდა და ამხანაგების ზურგს ამოეფარა. მოელოდა, რომ მის გვარს საჯაროდ დასასახელებდნენ, მის ჩანთაზე მიუთითებდნენ და მიწა რომ გასკდომოდა, ის ერჩივნა.

მაგრამ ხელმძღვანელმა სულ არ ახსენა შიო და შემდეგ მოსწავლეებს ღონისძიებები გააცნო: მან თქვა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე თანახმაა, რათა მოსწავლეები დაეხმაროს. ბავშვებმა თავიანთი აზრი გამოთქვეს და გადაწყვიტეს, რომ კოლმეურნეთა ბალ-ვენახებში გაკვეთილების შემდეგ ორ-ორი საათით მეთვალყურეობა გაეწიათ, სანამ კოლმეურნე ღამის დარაჯები შესცვლიდნენ; შიოს თითქოს გულიდან მძიმე ლოდი გადაუგორდა, გოკცებით თვალებდაჭყეტილმა თავისუფლად ამოისუნთქა და გულში ხელმძღვანელისა და ამხანაგების მიმართ მადლობა იგრძნო, რომ მათ მისი თავმოყვარეობა დაიცვეს და მისი გვარი არ გამოამჟღავნეს. შიო მეგობრებისადმი უფრო მეტი მადლობის გრძნობით გაიმსჭვალა, როცა მეთვალყურეთა შორის მისი გვარიც დაასახელეს და იმედი გამოთქვეს, რომ ის ამ საქმეში ერთგული და მუყაითი მცველი იქნებოდა.

ამგვარ მოპყრობას არასოდეს მოელოდა შიო; მას თვალებში ცრემლები მოერია და ასე გაიფიქრა: თუ დღეიდან ამის მაგვარი რამ ჩავიდინო და თავი შევირცხვინო, რაღა ადამიანი ვიქნებიო.

მეორე დღეს გაკვეთილების შემდეგ, შიო იმავე ზვარში იდგა საყარაულოდ, საიდანაც საკოლმეურნეო დოვლათს არხეინად ეზიდებოდა; ყოველ ფოთლის დაშრიალებაზე შიო კრთოდა და აღარ იცოდა, სირცხვილით სად დამალულიყო. წითლად დაბრაწულ, ხავერდივით ნაზკანიან ატმებს და მსხმოიარებით ტოტებდაწეულ მშვენიერ მსხლებს თვალს არიდებდა და თავის უმსგავსო საქციელს ნანობდა.

შიომ ზვარს რამდენიმეჯერ აუარ-ჩაუარა, ორიოდე გაწუწკებული ძაღლი შორს დაიფრინა, რომლებსაც ყურძნის მტევნები აქა-იქ ჩამოესვლიპათ. დაუპატიჟებელ სტუმრად მობრძანებული თხაც რიყისაკენ ქვების სროლით გააქცია და ბოლოს, როცა ყურძნის მარცვლებით ზურგმოქარგული ზღარბი დაინახა, გულში ასე გაივლო: ამ ზღვის მტერი მე და ეს ცხოველები ვყოფილვართ და ვაი ჩემს სირცხვილსო.

ამ დროს ვენახიდან ფოთლების შრიალი მოისმა. ბიჭი მოტრიალდა და ის იყო უნდა დაეტატანა, მაგრამ კალთებაკეცილმა მისმა მეზობელმა კოლმეურნე ქალმა დაასწრო და დამცინავი კილოთი გადმოსძახა:

— ეჰ, ეჰ, ეჰ! დამიხედეთ სკოლის მოწაფეს! არა გრცხვენია, ბიჭო, ვენახები ხომ აკლებული გაქვს და ახლა აქაც გამოგინავარდებია?

შიოს შერცხვა და მეზობელს გულწრფელად მიუგო:

— არა, დეიდა მარო, როგორ გავბედავ რამეს ხელი ვახლო... მე ყარაული ვარ... და აგერ, ჩემი ამხანაგი მოდის, სკოლის დავალებით ახლა ის შემცვლის!

იმ წამს ზვრის კარები წერწეტა ბიჭმა შემოაჭრიალა და მხიარული ხმით შესძახა:

— რა ქენი, შიო, ბევრი მტერი აღმოაჩინე? უკულმართი ვინმე ხომ არსაიდან შემოგეპარა?!

— არა, ბიჭო, არავის გაუჭაჭანებია, მხოლოდ ძაღლები ეტანებიან და იმათი პატრონები უნდა გავაფრთხილოთ, რომ დაბაბან, თორემ ცოდოა აქაურობა; გარდა მაგისა, ხედავ, ხეხილებ ქვეშ რამდენი მსხალი, ვაშლი და ატამი ყრია, კოლმეურნეებს არ სცალიათ და ჩვენი სკოლის ბავშვები უნდა მოვიყვანოთ, გოდრებში ავაკრეფინოთ და კოლმეურნეობას ჩავაბაროთ, თორემ დალპება და ზარალია.

ეს ისეთი მზრუნველობით თქვა შიომ, რომ დედაკაცმა გაკვირვებით თავისთვის ჩაილაპარაკა: ეს ბიჭი ასე რამ შეცვალაო! და შიოს გადმოსძახა:

— აბა, თქვენ იცით, როგორ დაგვეხმარებით; დღეს ქალები სწორედ ამიტომ ვართ წამოსული და გაისარჯეთ, რომ ნაქარი ხილი მოვაგროვოთ, ქვევრებში საარაყედ ჩავყაროთ და მალე დავაბინაოთო.

ვახტანგ ნადარეიშვილი

ჭიდაობა

კომბაინის ნაკვალევზე
აგროვებდნენ ოქროს თავთავს;
პიონერებს დიდიდანვე
შეჯიბრება გაემართათ.
გაბნეული თავთავები
ყველამ ბევრი მოაგროვა,
მაგრამ რაზმის პირველობა
მოიპოვა გოგის რგოლმა.
სწავლაშიაც პირველია,
შრომაში ხომ თვითონ ნახეთ,
აბა, ვნახოთ, ჭიდიდშიაც
თუ დაიცავს რგოლის სახელს!
დოლს შემოჰკრეს სოფლის
კლუბთან,
გაუწიეს ყელი გარმონს...
ჰეი, ვისაც გული გერჩის,
წრეში, გამო! წრეში გამო!
გოგის აქაც ვერვინ სჯობნის,
პატარაა თუმცა ტანად,
ვისაც ხელი წამოავლო,
ფეხქვეშ ქარი გაუტარა.
ეს მესამე დაამარცხა—
მარდად მხარზე დაანარცხა:
გალმეღების ფაღავანმა
ცალი ფეხით მიწა ფარცხა.
ბოლოს უცხოს დაჭიდეს;
ჩაცმულია ქალაქურად;
ამ ზაფხულზე მამიდასთან
ჩამოსულა თურმე სტუმრად.
აბა, გოგის თუ გაუძლებ,
გაუმაგრდი, ქალაქელო!
მოგვერდს გაჭკრავს ელვასავით,
სარმა იცის სანაქებო!
გოგა-ბიჭი ქალაქელსა
გაეგება, მიესალმა,
მერე მარდად მოუბრუნდა,
გამოუდო შუა სარმა.
მარტო სარმით ეჭიდავა,
სხვა ხერხი არ უხმარია,
ფიქრობს: „როგორ წავაქციო—
ქალაქელი სტუმარია!“
სუყველანი აქ არიან,
ხალხი ფუტკრად ახვევია,
თავის სახელს არა ნალვლობს,
თუმც ფალავნის სახელი აქვს.
ოლონდ ყმაწვილს არა ევნოს,
უცბად ფეხი არ დაუცდეს,
ამიტომაც გოგი სტუმარს
გაურბის და განზე უქცევს...
ქალაქელიც თითქოს მიხვდა,
ახლა ისიც ერიდება.
ამ დროს ხალხიც ჩაერია:
— შერიგება... შერიგება..
გაზავდნენ და გადაჰკოცნეს
გაისწორეს ყელსახვევი,
და ერთმანეთს, ძმობის ნიშნად,
გადაჰხვიეს მხარზე ხელი.

ქეთევან ჭილაშვილი

ნახატი გ. ფოცხიშვილისა

„ფისო, ფისო“

ნატო და მისი სტუმარი პატარა გაიანე სასაუზმოდ მაგიდასთან ჩამოსხდნენ. ნატოს დედამ მათ რძეში ნოხარშული ფაფა მიუტანა.

— უჰ, რა ცხელია!

— ორთქლი ასდის! — კისკისებდნენ პატარები.

— სანამ განელდება, მოდი „ფისო, ფისო“ ვითამაშოთ!—სთხოვა ნატომ თავის სტუმარს გაიანეს.

— მე არ ვიცი ეგ თამაშობა! — უპასუხა დაღონებულმა გაიანემ.

— გასწავლი, მაგაზე ადვილი თამაშობა არც ერთი არ არის... შენ ფისო იქნები, მე შენს ხელს ალერსით გადავუსვამ ხელს და მოგეფერები: ფისო, ფისო, ფისო... ალერსის დროს შევეცდები მოვასწრო და ხელზე ხელი დაგკრა. შენ კი ყურადღებით უნდა იყო და ხელი დროზე მომარიდო, თორემ ფისო ისევ შენ იქნები და მე ხელახლა დავიწყებ თამაშს.

— მხოლოდ ფრთხილად, ხელი არ მატკინო!—გააფრთხილა გაიანემ.

— ხელის ტკენა როგორ შეიძლება?— დააწყნარა ნატომ და გოგონები თამაშობას შეუდგნენ.

— ფისო, ფისო, ფისო... — დინჯად იძახდა ნატო და თან ალერსიანად უსვამდა ხელს გაიანეს პატარა თითებს.

ტახტზე მთვლემარე ფისომ თვალები დააჭყიტა და გაიფიქრა: ნეტავ ასე უდროოდ რად მეძახის კუდრაჭა ნატო! ისკუპა ტახტიდან და კუდის ქნევით მაგიდასთან ჩამოცუცქდა.

ოთახში ფაფის სუნი ტრიალებს!— გულში ჩაეცინა მსუნაგს და ნერწყვმორეულმა მოუთმენლად დაიკნავლა, მაგრამ ბავშვებს მისთვის არ ეცალათ.

— ფისო, ფისო, ფისო.—ალერსიანად იმეორებდა ახლა გაიანე.

— რა მოეჩვენათ ამ კუდრაჭებს? თითქოს მე მეფერებიან, ზედ კი არ მიყურებენ!—უკვირდა ფისოს და თან ცალი თვალით ფაფიან ლამბაქებს უთვალთვალებდა. ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო ჩვენს ფისოს, მაგიდაზე წამოსკუპდა და ორივეს წილი ფაფა პირწმინდათ მოლოკა.

— ეს რა კარგი თამაშობა უსწავლიათ, ნეტავი ხვალაც ითამაშონ!—კრუტუნებდა ტახტზე მოკალათებული ფისო.

— შეგარგოთ, შვილებო!—მიეალერსა დედა ბავშვებს და ცარიელი ლამბაქები სამზარეულოში გაიტანა. ბავშვებს ახლალა გაახსენდათ თავიანთი ფაფა.

— ვინ შეჭამა ჩვენი საუზმე!—გაოცდა გაიანე.

— ალბათ ფისომ!—ამოიოხრა ნატომ.

— ეგეც შენი „ფისო, ფისო“, დავრჩით ხახამშრალები!—თქვა დაღონებულმა გაიანემ.

— სუუუ! დედამ არ გაიგონოს!—ტუჩებზე ხელი მიიფარა ნატომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
5413
საჯარო ბიბლიოთეკა

ნახატები ი. გაბაშვილისა

სამუდამო მეგობრობა

აფრიკული ზღაპარი

ციცარმა და ნიანგმა ერთმანეთს მეგობრობა შეჰფიცეს. იმ დღიდან პატარა ნიანგმა და ციცრებმაც დაიწყეს ერთად თამაში.

ერთხელ ნიანგი მდინარის პირას იწვა და სიამოვნებით შეჰყურებდა თავის შვილებთან მოთამაშე პატარა ციცრებს.

— გამარჯობა, მეგობარო!—შემოესმა უცებ ნიანგს.—ეს მე ვარ, აფთარი, როგორც ვხედავ, ახლა შენს შესაჭმელს უცქერი.

— ჩემს შესაჭმელს?—შეეკითხა ნიანგი,—ამით რა გინდა თქვა?

— პატარა ციცრები ძალიან გემრიელებია. მე სიამოვნებით გიახლებოდი, მაგრამ ძალიან სწრაფად დაფრინავენ.

— მე არა ვჭამ ციცარს, მათ მეგობრობა შევფიცე,—უპასუხა ნიანგმა.

— მით უკეთესი, შენი აღარ ეშინიათ და უფრო ადვილად დაიჭერ,—უთხრა ეშმაკურად აფთარმა.

— ცხოველები მატყუარას დამიძახებენ!

— მერე რა, სამაგიეროდ გემრიელი სადილი გექნება. იცი, რა გემრიელია ციცარი?!—მიუგო აფთარმა და წავიდა.

პატარა ციცრებმა აფთარი რომ დაინახეს, შეშინებულებმა მოჰკურცხლეს დედისაკენ.

— გვიშველე,—უთხრეს დედას,—აფთარი დავინახეთ, ნიანგს ელაპარაკებოდა!

დედა ციცარი დაფიქრდა:

„აფთარი ცუდი ცხოველია, ვაი, თუ, ნიანგმა მის ლაპარაკს დაუჯერა?!“

ციცარმა შვილებს აუკრძალა პატარა ნიანგებთან თამაში.

დედის დარიგება პატარა ციცრებს გაეხარდათ:

— კარგი, აღარ ვითამაშებთ პატარა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიანგებთან, მათ უკვე დიდი და წვეტიანი კბილები აქვთ, გვეშინია!

რამდენიმე დღის შემდეგ აფთარი ისევ მივიდა ნიანგთან და ჰკითხა:

— რა ჰქენ, ნიანგო? იგემე ციცრის ხორცი?

— არა. ვერ გამიგია, რა დაემართათ, აღარ გვეკარებიან,—უპასუხა ნიანგმა.

— ალბათ ეშინიათ, აი, როგორ უნდა მოიქცე!—და ნიანგს ყურში რაღაც წასჩურჩულა.

მეორე დილით ნიანგის შვილი ტირილით მივიდა ციცრებთან.

— მამაჩემი გარდაიცვალა. დასაფლავებაზე მობრძანდით!

— დედიკო, ნუ წავალთ!—წასჩურჩულეს დედას პატარა ციცრებმა.

— რატომ არა, წავიდეთ, გავიგოთ, მართალია თუ არა, ოღონდ ახლოს ნუ მიხვალთ და როდესაც ნისკარტით დავაკაკუნებ, გაფრინდით!

ციცრები მივიდნენ მდინარის პირას. ნიანგი მიწაზე გაწოლილიყო.

— მოუახლოვდით საწყალ მამაჩემს!—



ტირილით მიმართა ციცრებს ნიანგის შვილმა.

— საბრალო ნიანგი! მაგრამ განა მართლა მკვდარია? არა მჯერა, რადგან მიცვალებულს არა ჰგავს,—უპასუხა დედა ციცარმა.

— რატომ?—შეეკითხა გაკვირვებული ნიანგის შვილი.

— განა არ გაგიგონია, რომ როდესაც მიცვალებულს ეტყვიან „გააღე პირიო“,—ის პირს გააღებს, „შეატოკე თათებიო“,—ატოკებს თათებს!—უპასუხა დედა ციცარმა.

— მამაჩემი ნამდვილად მკვდარია. შეამოწმე, თუ გნებავს; უთხარი გააღოს პირი და შეატოკოს თათები, მაშინ დარწმუნდები სიმართლეში!

— გააღე პირი!—შესძახა ციცარმა.

ნიანგმა გააღო უზარმაზარი პირი.

ციცარი მიხვდა ნიანგის განზრახვას, ნისკარტით სწრაფად დააკაკუნა და თავის შვილებთან ერთად შორს გაფრინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

გადმოაქართულა **ლატავრა შანშიაშვილმა**

ირაკლი აბაშიძე

გაზაფხული

გაიხიზნა მთებში ზამთარი,
გაზაფხულდა, გაზაფხულდა;
მზე ეკვეთა მინდორ-ველებს,
მზე გაფიცხდა, ცა გახურდა.
ნაზამთრალი მთა და ბარი
აფერადდა ათასფერად;
ტოტზე კვირტი მოიჩიტა
ფრთა გაშალა გასაფრენად.
მთებში გატყდა ყინვის ხუნდი,
აგუგუნდა ჩანჩქრის წყალი:
ბალს ბუდბუდი დაუბრუნდა,
შეაფრინდა ცას მერცხალი.
ველს მანქანა შეეჭიდა:
გაიღესა ბარ-ნამგალი.
კვლავ მიეჭრა ხოდაბუნებს
კოლმეურნე მკლავ-მაგარი.
კვლავ გაისმა ოროველა,
მიწა გატყდა, ხვნა გახურდა,—
დგას გუგუნი მინდორ-ველად,
გაზაფხულდა, გაზაფხულდა.

ყდის მხატვრობა ეკუთვნის ვ. ჯაფარიძეს

რედაქტორი რევაზ მარგიანი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე.

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 3, Март 1952 г. Тбилиси, Ленина 14. Детиздат Грузии
საბჭოტგამი, რედაქციის მისამართი: თბილისი ლენინის 14. 3 სართ. ტელ. 3-37-38.
გამომც. შეკვ. № 75 სტამბის შეკვ. № 130|483 ტირაჟი 15.000 უე 00650.